საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1036
17/02/2023

1036-21-2-202302171719

შპს "იორკ თაუნს"
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი,
ფარნავაზ მეფის გამზირი, N 51, ბლოკი A, საოფისე ფართი N6ა
ელ. ფოსტა: m.baghdinovi@gergili.ge r.enukidze@gergili.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1027 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. ტაბახმელას მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხ(ებ)ი:

- სკრინინგის ანგარიშში მოცემული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსების GPS კოორდინატების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საპროექტო გამწმენდი ნაგებობა მოქცეულია საკადასტრო კოდის 01.81.02.258.016 საზღვრებში, თუმცა წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მითითებულია საკადასტრო კოდი 81.02.27.878. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტის 2.2.2.1 ცხრილში (გვ. 19) მოცემული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წყლის ობიექტებში, შეწონილი ნივთიერებებისთვის საჭიროებს დაზუსტებას, ასევე ცხრილში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ის ნივთიერებები, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს გამწმენდიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის (გამწმენდი ნაგებობა) განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსისათვის, სკრინინგის განცხადებაზე თანდართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების თანახმად, საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 60 001 m^2. შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშშიც ასევე

მითითებული და დაზუსტებული უნდა იყოს განაშენიანებისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნ(ებ)ის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო